

სასამართლომ დავით კირკიტაძე პატიმრობაში დატოვა



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი დავით კირკიტაძე პატიმრობაში რჩება.

გურჯაანის რაიონურმა სასამართლომ, სადაც დღეს კირკიტაძისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვაზე იმსჯერეს, პატიმრობის შუნარჩუნების გადაწყვეტილება მიიღო.

ბრადღებურისთვის აღკვეთის ღონისძიების გაუქმებასა და მის გათავისუფლებას დაცვის მხარე მოითხოვდა.

დავით კირკიტაძის აღვოკატის გიორგი კონდახიშვილის განცხადებით, გამოკვეთილი ახარი გარემოებები და სასამართლოსთვის წარდგენილი ახარი მტკიცებულებების გათვადისწინებით, ბრადღებურის პატიმრობაში დატოვების შესაძლებლობა არ არსებობდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი დიდერი დავით კირკიტაძე პორციერზე თავდასხმისთვის, ფიზიკური შეურაცხყოფისა და ქონების დაზიანებისთვის, მოსამართლის განჩინებით 17 დეკემბერს დააკავეს. მას ბრადი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხდის პირვედი ნაწილით წარედგინა. 20 დეკემბერს კირკიტაძეს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა.